ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი №2

ქ. ქობულეთი 19 მაისი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

- ასლან ყურშუბაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;
- არჩილ დუმბაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ნათია ლორია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის მდივანი.
- ფატი ჯინჭარაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.
- ოლეგ კარალიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.
- გურამ ვერულიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი.
- დავით ნოღაიდელი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი – კომისიის აპარატის წევრი.
- ზადრი რომანაძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი – კომისიის აპარატის წევრი.

შენიშვნა: სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი ზაალ ბაჯელიძე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

სხდომის დღის წესრიგი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 06 მაისს გამოცხადებული №62 კონკურსის სტატუსის განსაზღვრა, რომელიც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას მაგისტრალური წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვას.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის მდივანის ნათია ლორიას გამოსვლა, რომელმაც კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 06 მაისს გამოცხადებულ №62 კონკურსში (*წინადადების მიღების დასრულების თარიღი 12.05.2011 წელი, 14:00სთ)* დადგენილ ვადაში არცერთ მიმწოდებელს არ წარმოუდგენია საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 06 მაისს გამოცხადებულ №62 კონკურს მიენიჭოს სტატუსი – კონკურსი არ შედგა.

2. უზრუნველყოს კომისიის აპარატმა, დადგენილი წესის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ, მისი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანერებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელექტრონული ფოსტა contest@procurement.gov.ge) საკონკურსო განცხადების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე	ასლან ყურშუბაძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	არჩილ დუმბაძე
კომისიის წევრები	ოლეგ კარალიძე
	ფატი ჯინჭარაძე
	ზაალ ბაჯელიძე
	გურამ ვერულიძე
კომისიის მდივანი	ნათია ლორია
კომისიის აპარატი	დავით ნოღაიდელი
	ბადრი რომანაძე